საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კავკასიური აპოლონი

კავკასიური აპოლონი

კავკასიური აპოლონი (Parnassius apollo caucasicus), პეპელა აფროსნების (Papilionidae) ოჯახიდან. რელიქტური ფაუნის სიცივისმოყვარული წარმომადგენელი. ფრთების შლილი 64–86 მმ-ია. საერთო ფონი რძისფერი თეთრია, გარეთა კიდეები ბოლოვდება გამჭვირვალე, ბრტყელი, რუხი არშიით. წინა ფრთებზე რამდენიმე შავი ლაქაა, უკანაზე კი – ორი ალისფერი შავარშიიანი თვალაკი; ფრთების ძირი და სხეული შავია. მთის ევროპულ-ციმბირულ-კავკასიური სახეობაა. საქართველოში გვხვდება ყველგან – მაღალმთიანეთში. ტიპური ბიოტოპია სუბალპური ტყე, მაღალბალახეული ან ალპური მდელოების მშრალი, ქვიანი ან კლდოვანი კალთები. წელიწადში იძლევა ერთ თაობას. დაფრინავს დღისით, ივნის-აგვისტოში. კვერცხდება და მატლის კვება მიმდინარეობს კლდისდუმასა და კლდისვაშლაზე. იზამთრებს მატლის ფაზაში.

შემცირებადი სახეობაა. შეტანილია „საქართველოს წითელ ნუსხაში".

ე. დიდმანიძე